

პრიორიტეტების ფინანსური ანგარიშგების ფორმა

(ლარებში)

პრიორიტეტის დასახელება	პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	გასული წლის პროგნოზი	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	გასული წლის შესრულება	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები
კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	05 03	კულტურული ღონისძიებები და ფესტივალები	2 617 320	2 520 500	2 465 062	2 407 883
სულ პრიორიტეტზე მიმართული სახსრები			2 617 320	2 520 500	2 465 062	2 407 883

პროგრამის ფინანსური ანგარიშგების ფორმა

(ლარებში)

პროგრამის დასახელება	კულტურული ღონისძიებები და ფესტივალები			
პროგრამის კოდი	05 03			
პროგრამის განმახორციელებელი	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია			
პროგრამით გათვალისწინებული ქვეპროგრამები	გასული წლის გეგმა	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	გასული წლის ფაქტი	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები
კულტურული ღონისძიებების მართვა 05 03 01	1 121 920	1 025 100	1 035 003	977 824
მართვა-ადმინისტრირება	1 109 520	1 016 000	1 027 951	970 772
მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლება	12 400	9 100	7 052	7 052
ღირსშესანიშნავ დღეებთან დაკავშირებული კულტურული ღონისძიებები 05 03 02	852 900	852 900	808 349	808 349
3 მარტი - დედის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება	1 000	1 000		
23 მარტი - 1921 წელს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ გმირთა ხსოვნის დღის აღნიშვნა	1 000	1 000	190	190
9 აპრილი - საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღების დღისა და საქართველოს ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება	1 000	1 000	230	230
9 მაისი - ფაშიზმზე გამარჯვების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება	5 000	5 000	5 000	5 000
26 მაისი - საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება	80 000	80 000	80 000	80 000
1 ივნისი - ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები	50 000	50 000	39 225	39 225
1-2 სექტემბერი - ბათუმობის ღონისძიებები (ბათუმობა 2017-ის დავალიანების დაფარვა)	364 900	364 900	335 840	335 840
ქალაქის სახალალო - სადღესასწაულო ღონისძიებები	350 000	350 000	347 864	347 864
კულტურული მრავალფეროვნების ხელშეწყობა 05 03 03	63 000	63 000	52 978	52 978
ებრაული ეთნიკური უმცირესობის ჯგუფის მიერ ინიცირებული პროექტების დაფინანსება	7 000	7 000	1 330	1 330
აზერბაიჯანული ეთნიკური უმცირესობის ჯგუფის მიერ ინიცირებული პროექტების დაფინანსება	7 000	7 000	6 851	6 851
უკრაინული ეთნიკური უმცირესობის ჯგუფის მიერ ინიცირებული პროექტების დაფინანსება	7 000	7 000	7 000	7 000
რუსული ეთნიკური უმცირესობის ჯგუფის მიერ ინიცირებული პროექტების დაფინანსება	7 000	7 000	5 100	5 100
სომხური ეთნიკური უმცირესობის ჯგუფის მიერ ინიცირებული პროექტების დაფინანსება	7 000	7 000	7 000	7 000
იეზიტური ეთნიკური უმცირესობის ჯგუფის მიერ ინიცირებული პროექტების დაფინანსება	7 000	7 000	6 200	6 200
თურქული ეთნიკური უმცირესობის ჯგუფის მიერ ინიცირებული პროექტების დაფინანსება	7 000	7 000	6 050	6 050
ბერძნული ეთნიკური უმცირესობის ჯგუფის მიერ ინიცირებული პროექტების დაფინანსება	7 000	7 000	6 847	6 847

გერმანული ეთნიკური უმცირესობის ჯგუფის მიერ ინიცირებული პროექტების დაფინანსება	7 000	7 000	6 600	6 600
საერთაშორისო ფესტივალების მხარდაჭერა 05 03 04	429 500	429 500	423 889	423 889
კლასიკური მუსიკის ბათუმის საერთაშორისო ფესტივალი	99 700	99 700	99 690	99 690
მონოპიესების საერთაშორისო ფესტივალი	30 000	30 000	30 000	30 000
საავტორო კინოს ბათუმის XIII საერთაშორისო ფესტივალი	200 000	200 000	199 775	199 775
ბათუმის ანიმაციური ფილმების X საერთაშორისო ფესტივალის არასაკონკურსო პროგრამა	40 000	40 000	40 000	40 000
გიორგი გარაყანიძის სახელობის ფოლკლორული და სასულიერო მუსიკის ბათუმის საერთაშორისო ფესტივალი	20 000	20 000	19 780	19 780
ბათუმის კლასიკური მუსიკის ფესტივალი - Batumi MusicFest	39 800	39 800	34 644	34 644
კულტურის სფეროში თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა 05 03 05	150 000	150 000	144 844	144 844
კონკურსში გამარჯვებულ პირთა დაფინანსება	150 000	150 000	144 844	144 844
სულ პროგრამის ბიუჯეტი	2 617 320	2 520 500	2 465 062	2 407 883

პროგრამის შედეგების შეფასების ფორმა

<p>პრიორიტეტის დასახელება</p>	<p>კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი</p>
<p>პროგრამის დასახელება</p>	<p>კულტურული ღონისძიებები და ფესტივალები</p>
<p>პროგრამის კოდი</p>	<p>05 03</p>
<p>პროგრამის განმახორციელებელი</p>	<p>ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია</p>
	<p>პროგრამით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად წლის განმავლობაში განხორციელდა ქვეპროგრამები:</p> <p>1. ქვეპროგრამა „კულტურული ღონისძიებების მართვა.“. ქვეპროგრამის ფარგლებში გაწეული იქნა კულტურის ცენტრის გამართულად მუშაობასთან დაკავშირებული ხარჯები, კერძოდ, ოფისის ხარჯები, ტრანსპორტის მოვლა-შენახვის ხარჯები, კომუნალური გადასახადები, ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურება და სხვა, დაიგეგმა და განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, მიმდინარეობდა ღონისძიებების შესრულებაზე ზედამხედველობა;</p> <p>„საზაფხულო თეატრში“ სახანძრო უსაფრთხოების მიზნით გატარდა რიგი ღონისძიებები, კერძოდ: შესყიდული იქნა ფოსფორის მაჩვენებლები, ოფისისთვის შეძენილი იქნა ასევე კომპიუტერული ტექნიკა და მრავალფუნქციური პრინტერი, სხვადასხვა მუსიკალური ინსტრუმენტი და აქსესუარები. მომზადდა საზაფხულო თეატრის რეკონსტრუქციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია. კახაბრის კლუბში სამუშაო ოთახში მეტალოპლასტმასის კარფანჯარა გამოიცვალა.</p> <p>ცენტრის შემოქმედებითი კოლექტივების მიერ გაიმართა შემდეგი ღონისძიებები: ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტში ჩატარდა სიმებიანი კვარტეტის მასტერ-კლასი, 6 ნოემბერს, საზაფხულო თეატრში მოეწყო ქორეოგრაფიული ანსამბლის ახალი საკონცერტო ნომრების პრეზენტაცია,</p> <p>4 მაისს საზაფხულო თეატრის ფოიეში მოეწყო ქალთა კამერული გუნდისა და ტალინის /ესტონეთი/ წმ. კაარლოს ეკლესიის კამერული გუნდის „კანორუსი-ს“ კონცერტი, 20-22 აგვისტოს, ტურისტულ სეზონზე, დამსვენებლებისათვის ბულვარში გაიმართა სასულე ორკესტრის კონცერტები, საზაფხულო თეატრის მიმდებარედ, 23–24 აგვისტოს, გაიმართა სხვადასხვა შემოქმედებითი კოლექტივების საკონცერტო ნომრები, რაც სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებდა როგორც ტურისტებზე ასევე ჩვენი ქალაქის მკვიდრებზე.</p>
	<p>ქვეპროგრამით გათვალისწინებული შუალედური შედეგის მისაღწევად, ინდიკატორებად განსაზღვრული იყო;</p> <p>- ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა - სამიზნე მაჩვენებელი - 8.</p> <p>ქვეპროგრამის შუალედური შედეგი მიღწეულია,</p> <p>2. ქვეპროგრამა „ღირსშესანიშნავ დღეებთან დაკავშირებული კულტურული ღონისძიებები“. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: 3 მარტს გაიმართა დედის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება; 23 მარტს, 1921 წელს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ გმირთა ხსოვნის აღსანიშნავად ბათუმის დრამატული თეატრის მიმდებარე მოედანზე ტრადიციულად შეიკრიბნენ ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. ღონისძიება მუსიკალურად გააფორმა „კულტურის ცენტრთან“ არსებულმა სასულე ორკესტრმა. მემორიალი შემკობილი იქნა გვირგვინითა და ყვავილებით;</p> <p>9 აპრილს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღების დღისა და საქართველოს ეროვნული ერთიანობის, საქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღის აღნიშვნის მიზნით, მოხდა მემორიალის შემკობა ყვავილებით. ცერემონიაში მონაწილეობა მიიღო ცენტრის ვაჟთა ხალხური სიმღერის ვოკალური ანსამბლმა.</p> <p>9 მაისს გაიმართა ფაშიზმზე გამარჯვების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება – ორგანიზებული იქნა ვეტერანების და სტუმრების შეკრება გმირთა ხეივანში, მოხდა მემორიალის შემკობა ყვავილებით სასულე ორკესტრის მუსიკის თანხლებით; 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ორგანიზების მიზნით ქალაქი მორთული იყო საქართველოს დროშებით, ანბანის კოშკთან გაიმართა კონცერტი ბათუმელი მომღერლების შესრულებით;</p> <p>1 ივნისს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით საზეიმოდ მორთო 6 მაისის პარკი ფერადი ლენტებით, ბურთებით, სხვადასხვა დეკორაციებით. ჩატარდა საბავშვო კონცერტები ქალაქში მოქმედი სხვადასხვა ანსამბლის მონაწილეობით, ბავშვებს განწყობას უქმნიდა სხვადასხვა ზღაპრის მხატვრული და მუსიკალური იქნა ჰილოპის ბოშები და მოწიწო ოფისო ნააინის კოპორნის და ბამბის</p>

1 სექტემბერს აღინიშნა ბათუმობის დღესასწაული, ძველ ბათუმში გაცოცხლდა მე-19 საუკუნის ქალაქი. ბათუმობისთვის ქუჩები სპეციალურად მორთო 1900 იანი წლების ეპოქის სტილისტიკით – აბრები, აფიშები, ბილბორდები. 14:00-დან 19:00 საათამდე ზვიად გამსახურდიას, ფარნავაზ მეფის, ვახტანგ გორგასლის, ხულოსა და მაზნიაშვილის ქუჩებზე გაიმართა გრანდიოზული სპექტაკლები. მოეწყო პერმანენტული და მინი სცენები, სადაც გაცოცხლდა ბუკინისტური მაღაზია, თევზის ბაზარი, ყავის წერტილები, თეატრალური წარმოდგენები, კოსტიუმირებული მსვლელობები, კონცერტები, ასევე გამოფენები, ბაზრობები და ა.შ. პიაცაზე ჩატარდა დასკვნითი გალაკონცერტი, რომელიც გრანდიოზული ფეირვერკით დაგვირგვინდა. ბათუმობის ფარგლებში ბათუმის საზაფხულო თეატრში ანსამბლ „ალილოს“ და „შვიდკაცას“ კონცერტი გაიმართა; საახალწლო ღონისძიებები დაიწყო 2018 წლის 25 დეკემბერს და 2019 წლის 2 იანვრის ჩათვლით გაგრძელდა. ყოველდღიურად ევროპის მოედანზე სპეციალურად მორთულ სცენაზე ტარდებოდა საბავშვო კონცერტები, ბათუმელი ბენდების მიერ შესრულებული კონცერტები, სხვადასხვა გასართობი შოუ პროგრამები. 2 იანვარს კი ნინო ქათამაძის კონცერტით დასრულდა. საახალწლო ღონისძიებების ფარგლებში, ბათუმის 21 უბანში (ახალი წელი შენს ეზოში) საახალწლოდ მორთულ დიდ სატვირთო მანქანაზე ბავშვებისათვის გასართობი პროგრამა ჩატარდა ანიმატორების მიერ. ბავშვებს დაურიგდებოდათ ბუშტები და ტკბილეული.

ქვეპროგრამით გათვალისწინებული შუალედური შედეგის მისაღწევად, ინდიკატორებად განსაზღვრული იყო;

- ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა - სამიხუნე მარცვნიელები - 8.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგი მიღწეულია,

3. ქვეპროგრამა „კულტურული მრავალფეროვნების ხელშეწყობა“. ქვეპროგრამის ფარგლებში, ქალაქში კულტურული მრავალფეროვნების ხელშეწყობის მიზნით, კულტურის ცენტრთან არსებული ეთნიკური უმცირესობების ინიცირებით განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები. კერძოდ: **ებრაული დიასპორისთვის** გამოყოფილი თანხიდან აღინიშნა საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან და ახალ წელთან დაკავშირებით გამართული შეხვედრები, აღნიშნული ღონისძიებები საზეიმო ვითარებაში ჩატარდა, რომელსაც ესწრებოდნენ მთავრობის წარმომადგენლები და სტუმრები სხვადასხვა საკონსულოებიდან.

აზერბაიჯანული დიასპორის ინიცირებით 8 მარტს ქართველთა და აზერბაიჯანელთა აჭარის საქველმოქმედო საზოგადოების მიერ ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გაიმართა საზეიმო ვახშამი; 27 დეკემბერს საზეიმოდ აღინიშნა მსოფლიოს აზერბაიჯანელთა სოლიდარობის დღე; 9 მაისს ქართველთა და აზერბაიჯანელთა აჭარის საქველმოქმედო საზოგადოების მიერ აღინიშნა ფაშიზმზე გამარჯვების დღე; 28 დეკემბერს აღინიშნა მსოფლიოს აზერბაიჯანელთა სოლიდარობის დღე; დაფინანსდა საახალწლო ღონისძიებები, რომლის ფარგლებშიც გაიმართა საახალწლო გასართობი შოუ პროგრამა პატარებისათვის გასართობ ცენტრ ბერიკეპში. ბავშვებს გადაეცათა საახალწლო საჩუქარი.

უკრაინული დიასპორის ინიცირებით 3-9 მარტს მოეწყო დედისა და ქალთა დღისადმი მიძღვნილი საღამო, რომელიც მეგობრობის სახლში ჩატარდა. ქალთა დღესთან დაკავშირებით დიასპორაში მოღვაწე ქალბატონებს გადაეცათ ფასიანი საჩუქრები. 9 მარტს კი ზღვისპირა პარკის ტერიტორიაზე ტარას შევჩენკოს ძეგლთან მოეწყო ტარას შევჩენკოს დაბადების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება; აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით დიასპორის ხელმოკლე და მრავალშვილიანი ოჯახებისათვის შესყიდული იქნა სასურსათე პროდუქტების ნობათი; 15 ივლისს უკრაინული დიასპორის მიერ მოეწყო უკრაინელი ობოლი ბავშვების სტუმრებასთან დაკავშირებული ღონისძიებები, შეხვედრა გაიმართა მეგობრობის სახლში, მოეწყო ნახატების გამოფენა, კონკურსები, ვიქტორინები. გამარჯვებულები ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ; 17-20 ივლისს უკრაინული დიასპორის აქტიური ბავშვებისათვის მოეწყო საექსკურსიო ტური, კერძოდ მოინახულეს მცხეთა, თბილისი, თელავი, სიღნაღი და საგარეჯოში არსებული კულტურულ ისტორიული ძეგლები; 24 აგვისტოს აღინიშნა უკრაინის დამოუკიდებლობის დღე. ღონისძიების ფარგლებში მოხდა ზღვისპირა პარკის ტერიტორიაზე ტ. შევჩენკოს და ლ. უკრაინკას ძეგლის ყვავილებით შემკობა, ბავშვთა ხატვის კონკურსი ასფალტზე და სხვ.; დაფინანსდა საახალწლო ღონისძიებები, რომლის ფარგლებშიც გაიმართა საახალწლო გასართობი შოუ პროგრამა პატარებისათვის გასართობ ცენტრ ბერიკეპში. ბავშვებს გადაეცათა საახალწლო საჩუქარი.

რუსული დიასპორის ინიცირებით აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით დიასპორის ხელმოკლე და მრავალშვილიანი ოჯახებისათვის შესყიდული იქნა სასურსათე პროდუქტების ნობათი; 23 ივლისს მოეწყო საერთაშორისო „მრგვალი მაგიდის“ მოწვევა, მოწვეული იყვნენ სტუმრები ეკატერინბურგიდან და მოსკოვიდან. განხილული იქნა საქართველო-რუსეთის თანამშრომლობა ახალგაზრდული განზომილებით“, გაცვლითი პროგრამები, კულტურული კავშირები; დაფინანსდა საახალწლო ღონისძიებები;

პროგრამით და ქვეპროგრამებით გათვალისწინებული ღონისძიებები, მათი აღწერა, წარმატებები და წარმოქმნილი დაბრკოლებები

<p>სომხური დიასპორის ინიცირებით 14 თებერვალს აღნიშნა „სურბ სარქისის“ დღესასწაული. ღონისძიებისთვის სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებულზე შესყიდული იქნა სუვენირები და საჩუქრები; 4 მარტს სომხურმა დიასპორამ აღნიშნა დედის დღე და აღნიშნულთან დაკავშირებით ქალბატონებს გადაეცათ ფასიანი საჩუქრები; 28 მაისს აღნიშნა სომხეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის 100 წლისთავი.</p> <p>2 ივნისს აჭარის რუსულენოვანი ინტელიგენციის ასოციაცია „რასვეტის“ მიერ მეგობრობის სახლში მოეწყო ასოციაციის 15 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საღამო. მოწვეულმა სტუმრებმა წაიკითხა ლექსები; 25 დეკემბერს აღნიშნა დიასპორის 25 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო. აღნიშნულზე მომზადებული იქნა მოკლე დოკუმენტური ფილმი, რომელშიც ასახული იყო დიასპორის მოღვაწეობა ქრონოლოგიის მიხედვით. მოწვეული იყო სომხეთის რესპუბლიკის კონსული და ასევე ქალაქის ინტელიგენცია. დიასპორის აქტივისტები დაჯილდოვდნენ სიგელებით.</p> <p>იეზიტური დიასპორის ინიცირებით დეკემბერში აჭარის იეზიტთა კავშირის მიერ რელიგიური დღესასწაულის „აიდია იეზიდი როჟი“ ჩატარების მიზნით, იეზიდური დიასპორის ოჯახებისათვის შესყიდული იქნა სურსათის პროდუქტები, რომლითაც ამზადებენ სპეციალურ სადღესასწაულო კერძებს და ურიგდებათ ხელმოკლე ოჯახებს; დაფინანსდა საახალწლო ღონისძიებები.</p>
<p>თურქული დიასპორის ინიცირებით 21 აგვისტოს მორწმუნეებისათვის 70 ოჯახზე ყურბან ზაირამის დღესასწაულთან დაკავშირებით შეძენილი იქნა სასურსათე ნივთი; დაფინანსდა საახალწლო ღონისძიებები.</p> <p>ბერძნული დიასპორის ინიცირებით 24 მარტს აღნიშნა საბერძნეთის დამოუკიდებლობის დღე. მოეწყო შესაბამისი თემატიკის კულტურული ღონისძიება; 20 ოქტომბერს მოეწყო საექსკურსიო ტური (ვარძია, ხერთვისის ციხე, რაბათის ციხე, ბორჯომი); 28 ოქტომბერს ბათუმის ბერძენთა საქველმოქმედო ასოციაციის მიერ აღინიშნა საბერძნეთის ეროვნული დღესასწაული „ოხი“; დაფინანსდა საახალწლო ღონისძიებები.</p> <p>გერმანული დიასპორის ინიცირებით თებერვლის თვეში დაიწყო და 15 ივნისამდე გაგრძელდა გერმანული ენის შემსწავლელი კურსები; 8 მარტს გაიმართა შეხვედრა ქალბატონებთან, ღონისძიებისათვის შეძენილი იქნა ფასიანი საჩუქრები; დამზადდა თემატური სარეკლამო მასალა (ბლოკნოტები და საწერკალმები); დეკემბერში დიასპორამ მოინახულა ზავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრი „ნემო“-ს აღსაზრდელები, რომელთაც გადაეცათ სხვადასხვა საჩუქრები და ტკბილეული; დაფინანსდა საახალწლო ღონისძიებები.</p> <p>ქვეპროგრამით გათვალისწინებული შუალედური შედეგის მისაღწევად, ინდიკატორებად განსაზღვრული იყო;</p> <ul style="list-style-type: none"> - ეთნიკური უმცირესობის ჯგუფების, რაოდენობა რომელთა პროექტები დაფინანსდა - სამიზნე მაჩვენებელი - 9. <p>ქვეპროგრამის შუალედური შედეგი მიღწეულია,</p> <p>4. ქვეპროგრამა „საერთაშორისო ფესტივალების მხარდაჭერა“. საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში ჩატარდა შემდეგი ფესტივალები:</p> <ul style="list-style-type: none"> - კლასიკური მუსიკის ბათუმის საერთაშორისო ფესტივალი - ფესტივალის ფარგლებში მოწვეული იყო 50-მდე ქართველი და უცხოელი კლასიკური მუსიკის შემსრულებელი, რომელთა მიერ
<ul style="list-style-type: none"> - მონოპიესების საერთაშორისო ფესტივალი - ფესტივალის ფარგლებში, საწყის ეტაპზე, შეირჩა დრამატურგები, რომლებმაც შექმნეს მონო-პიესები სპეციალურად მონო-ფესტივალისთვის. დრამატურგების მიერ დასახელდა რეჟისორები, რომლებმაც თავის მხრივ შეარჩიეს მსახიობები. ბათუმის სხვადასხვა ალტერნატიულ სივრცეში, თანმიმდევრულად ერთი კვირის განმავლობაში, გაიმართა სპექტაკლების ჩვენება. - ბათუმის კლასიკური მუსიკის ფესტივალი - Batumi MusicFest - ფესტივალის ფარგლებში, ბათუმს ესტუმრნენ მსოფლიოში ცნობილი ვარსკვლავები. კლასიკური მუსიკის ფესტივალის მთავარი აქცენტი იყო ნიჭიერი ქართველი პიანისტების აღმოჩენა და მათი ხელშეწყობა, რაც მას განსაკუთრებულ იდენტურობასა და მნიშვნელობას სძენს. - საავტორო კინოს ბათუმის XIII საერთაშორისო ფესტივალი - ფესტივალის ფარგლებში ჩატარდა მხატვრული, დოკუმენტური და მოკლემეტრაჟიანი ფილმების საერთაშორისო კონკურსები; გაიმართა მასტერკლასები, ვორკშოპები და ფოტოგამოფენები. კინოფესტივალზე სხვადასხვა სექციებში წარმოდგენილი იქნა დაახლოებით 50 სრულმეტრაჟიანი და 80 მოკლემეტრაჟიანი ფილმი, მსოფლიოს 50 ქვეყნიდან. - ბათუმის ანიმაციური ფილმების X საერთაშორისო ფესტივალის არასაკონკურსო პროგრამის ორგანიზება - ფესტივალის ფარგლებში ჩატარდა ახალგაზრდა ანიმატორების პროექტების პრეზენტაციები, მასტერკლასები, თოქ-შოუ, რომლის ფარგლებშიც მონაწილეებს საშუალება ჰქონდათ კითხვა-პასუხის რეჟიმში მიედილოთ

რომლის დროსაც ქართველი ანიმატორები, რეჟისორები და სცენარისტები ხვდებოდნენ ქართველ/უცხოელ პროდუსერებს და ანიმაციური სტუდიების წარმომადგენლებს.

- **ქ. ბათუმში გიორგი გარაყანიძის სახელობის ფოლკლორული და სასულიერო მუსიკის ბათუმის საერთაშორისო ფესტივალი -**

ფესტივალი 2018 წელს მესამეტედ ჩატარდა ჩვენს ქალაქში. ფესტივალის ფარგლებში გაიმართა სამეცნიერო კონფერენცია. ფესტივალის მიზანია იყო ქართული ხალხურის სიმღერის და სასულიერო მუსიკის ტრადიციების შენარჩუნება, მასტერ-კლასების მეშვეობით რეპერტუარის გამდიდრება, უახლესი სამეცნიერო კვლევების გაცნობა, ქართველი მეცნიერების ინტეგრირება ფოლკლორის კვლევის საერთაშორისო პროგრამებში. ფესტივალის ფარგლებში გაიმართა კონცერტები, გამოიცა სამეცნიერო სტატიებისაგან შემდგარი კრებული. ფესტივალში მონაწილეობა მიიღო ფოლკლორულმა (ავთენტური) ანსამბლებმა და საეკლესიო გუნდებმა. ფოლკლორული და საეკლესიო მუსიკის საშემსრულებლო პრობლემებისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს ქართველმა და უცხოელმა მეცნიერებმა.

ქვეპროგრამით გათვალისწინებული შუალედური შედეგის მისაღწევად, ინდიკატორებად განსაზღვრული იყო;

- ჩატარებული ფესტივალების რაოდენობა - სამიზნე მაჩვენებელი - 6.

- ფესტივალების ფარგლებში გამართული ვორკშოპების/მასტერ კლასების რაოდენობა - სამიზნე მაჩვენებელი - 10.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგი მიღწეულია,

5. ქვეპროგრამა „კულტურის სფეროში თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა“. საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდა - 23 პროექტი, კერძოდ:

<p>პროექტის ფარგლებში 14 ივნისს, საქართველოში შშპ პირთა უფლებების დაცვის დღის აღსანიშნავად, ბათუმის კულტურის ცენტრში, შშპ პირთა და თავმჯდომარის ბენეფიციართა მიერ ჩატარდა ინტეგრირებული კონცერტი. გაიმართა გამოფენა.</p> <p>2. პროექტი „ბათუმობა 2018-ისადმი მიძღვნილი ვიდეო კლიპის გადაღება სიმღერაზე „ბათუმო ჩემო“. დავით არჩვაძის სიმღერაზე „ბათუმო ჩემო“ განხორციელდა ვიდეო-კლიპის გადაღება, რომელიც მონაწილეობა მიიღო მუსიკალური სტუდია „ლალეს“ 60-მა აღსაზრდელმა და სხვადასხვა თაობის ბათუმელებმა.</p> <p>3. პროექტი „ქართული კინოს მუსიკალურ თეატრალური ინტერპრეტაცია“.</p> <p>პროექტის ფარგლებში ახალგაზრდული საორკესტრო ჯგუფისთვის შეირჩა მუსიკალური ნიმუშები ძველი და ახალი ქართული ფილმებიდან, განხორციელდა არანჟირება და შეიქმნა ქართული კინო-მუსიკის ვერსიები. მუსიკასთან ერთად სცენაზე გათამაშდა სხვადასხვა მინიატურები.</p> <p>4. პროექტი „ფრიდონ ხალვაშისა და ზურაბ გორგილაძის სახელობის პოეზიის კონკურსი „ზღვაური“.“</p> <p>პროექტის ფარგლებში ჩატარდა ლიტერატურული კონკურსი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან 100 დან 150-მდე ბავშვმა.</p> <p>5. პროექტი „საერთაშორისო ფესტივალ-კონკურსი „ოქროს დელფინი-ხელოვნება მსოფლიოს ირგვლივ-2018“.</p> <p>წარმოდგენილი პროექტის ფარგლებში განხორციელდა საერთაშორისო ფესტივალ-კონკურსი „ოქროს დელფინი-ხელოვნება მსოფლიოს ირგვლივ 2018" - მონაწილეთა (250 კაცი) ტრანსპორტირებისა და მასტერკლასების დაფინანსება.</p> <p>6. პროექტი „ფოტოკონკურსი, ფოტო-გამოფენა სახელწოდებით: „ქალის თვლით დანახული ჩვენ“ მესამე ეტაპი.</p>	<p>პროექტის ფარგლებში შეიქმნა 25 ფოტო, 5-მა ფოტოხელოვანმა ქალმა შექმნა ცნობილი, წარმატებული ბათუმელის, ბათუმისთვის მოღვაწე ადამიანების განსხვავებულ ამპლუაში გადაღებულ 25 ფოტოპორტრეტი.</p> <p>7. პროექტი „ბათუმი „აპოლო“. პროექტის ფარგლებში კინოთეატრ აპოლოს ფოიეში მოეწყო საექსპოზიციო, საარქივო და საგანმანათლებლო სივრცე, ბათუმში გადაღებული ფილმების თემატიკით.</p> <p>8. პროექტი „უსინათლო და მცირემხედველი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების თანაბარი ხელმისაწვდომობა მხატვრულ ლიტერატურაზე“.</p> <p>პროექტის ფარგლებში განხორციელდა ფრიდონ ხალვაშის მხატვრული ნაწარმოებების აუდიო წიგნების გამოშვება უსინათლო და მცირემხედველი ბენეფიციართათვის ლაზერულ დისკზე. აუდიო ფაილები განთავსდა სხვადასხვა საიტებზე, ასევე ის გაეზავნა სასწავლო დაწესებულებებს და ორგანიზაციებს.</p> <p>9. პროექტი „ზაფხული მოდის“. პროექტის ფარგლებში ჩატარდა ჯგუფის „გამოუვალი მდგომარეობა“ კონცერტი.</p> <p>10. პროექტი „ქართული პოეზიის დღე“. პროექტის მიეძღვნა ქართული პოეზიის დღეს. ჩატარდა ღონისძიება და მოეწყო გამოფენა.</p> <p>11. პროექტი „ბათუმი-კალიფორნია“. პროექტის ფარგლებში შეიქმნა ფილმი, რომელშიც ასახული იქნა ამერიკელი მწერლის ჯონ სტაიბეკის ცხოვრება. ფილმში ასახა მწერლის მონათხრობი საქართველოს შესახებ.</p> <p>12. პროექტი „საეკლესიო (სახალხო) დღესასწაული თამარობა“.</p> <p>პროექტის ფარგლებში ჩატარდა ღონისძიება, რომელიც მიეძღვნება „თამარობას“.</p> <p>13. პროექტი „ცნობილი მსახიობის ზურაბ ყიფშიძის შემოქმედებითი საღამო“. პროექტი მიზნად</p>
---	--

14. პროექტი - ხელოვნების სტუდია „ლიმპოპოს“ 25 წლისათვისადმი მიძღვნილი მუსიკალური სპექტაკლი „ფერადი ქალაქის მამიებლები“.

პროექტი ითვალისწინებდა სპექტაკლის დადგმას, რომლის ჩვენებაც გაიმართა როგორც ბათუმში ასევე საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.

15. პროექტი „პოეზია და ჩვენ“. ჩატარდა პოეზიის საღამო, რომელშიც მონაწილეობა მიიღო შშმ ბავშვებმა და ახალგაზრდა პოეტებმა. მოეწყო გამოფენა, შესრულდა მუსიკალური ნომრები.

16. პროექტი - „ეროვნული უმცირესობების ფესტივალი“. პროექტის ფარგლებში 31 ივლისს ბულვარში კოლონადებთან ჩატარდა ფესტივალი, სადაც აჭარაში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა ჯგუფებს ჰქონდათ შესაძლებლობა წარმოედგინათ მათი ნაციონალური კერძები, სურათები, სამოსი და სხვადასხვა ნივთები.

17. პროექტი - „ბათუმის კულტურა“. პროექტის მიზანი იყო შექმნილიყო საგანმანათლებლო-საინფორმაციო კომპიუტერული აპლიკაცია ბათუმის კულტურის მოღვაწეების და კულტურული ღირსეანი მნიშვნელობების შესახებ. განხორციელდება ბათუმში არსებული ყველა მუზეუმის და კულტურული ღირსეანი მნიშვნელობების აპლიკაციაზე აღნიშვნა და ნამუშევრების წარმოჩენა.

18. პროექტი - „ქ. ბათუმში, კომპოზიტორ ვაჟა აზარაშვილის დაბადებიდან 80 და შემოქმედებითი მოღვაწეობის 60 წლისთავთან დაკავშირებითი საიუბილეოს შეხვედრა-კონცერტი“. ბათუმის საზაფხულო თეატრში ჩატარდა ვაჟა აზარაშვილის კონცერტი.

19. პროექტი - „დიადი ჰიმნი-სონატა ბათუმს“ (ინსცენირება ლ.სეიდიშვილის ლექსებისა და ნახატების მიხედვით). პროექტის ფარგლებში აჭარის მწერალთა სახლში ჩატარდება ღონისძიება, რომელიც ეძღვნება ლადო სეიდიშვილის შემოქმედებას, მოეწყო გამოფენა;

20. პროექტი - საერთაშორისო ფესტივალი „კერამიკის ალქიმია“.

ჩატარდა კერამიკის ფესტივალი ადგილობრივი და უცხოელი პროფესიონალი კერამიკოსების მონაწილეობით. ფესტივალის ფარგლებში ჩატარდა პრეზენტაციები, მასტერკლასები და სხვა.

21. პროექტი- ცეკვის საერთაშორისო ფესტივალი „ბათუმი 2018“.

ფესტივალი მიმართული იყო საქართველოში მოქმედი სახვადასხვა ქორეოგრაფიული ჯგუფებისა და

<p>22. პროექტი - „ბათუმის ქუჩები“. პროექტის ფარგლებში გადაღებული იქნა ტურისტულ ზონაში მყოფი 15 ქუჩა, დამზადდა კლიპები.</p> <p>23. პროექტი - ქართულ-აფხაზური საგას ფარგლებში - „ქართულ აფხაზური ოჯახების ზეიმი ბათუმში“. პროექტის ფარგლებში ჩატარდა ღონისძიება, რომელიც მიემდგვნა ქართულ აფხაზურ ოჯახებს ბათუმში. დამზადდა ვიდეო რგოლი.</p> <p>ქვეპროგრამით გათვალისწინებული შუალედური შედეგის მისაღწევად, ინდიკატორებად განსაზღვრული იყო:</p> <p>- პროექტებში ჩართულ პირთა რაოდენობა - სამიზნე მაჩვენებელი - 7500</p> <p>- დაფინანსებულ პირთა (პროექტების) რაოდენობა - სამიზნე მაჩვენებელი - 15.</p> <p>ქვეპროგრამის შუალედური შედეგი მიღწეულია, ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ქვეპროგრამა ითვალისწინებდა 15 პროექტის დაფინანსებას, თითოეულ პროექტზე არაუმეტეს 10 000 ლარის ოდენობით. იმის გათვალისწინებით, რომ პროექტების ავტორთა მიერ წარმოდგენილი ხარჯები სრულად არ შეადგენდა 10 000-10 000 ლარს, ქვეპროგრამის ფარგლებში შესაძლებელი გახდა სულ 24 პროექტი შერჩეულიყო, რამაც განაპირობა პროექტებში ჩართულ პირთა რაოდენობის ზრდა. თუმცა აღსანიშნავია ის გარემოება რომ ერთი პროექტი - „უსინათლო და მცირემხედველ, მრავლობითი დარღვევის მქონე ბავშვებში შემოქმედებითი უნარების განვითარება“ გაუქმდა.</p> <p>აღნიშნულიდან გამომდინარე სულ 2018 წელს დაფინანსდა 23 პროექტი. ასევე, საანგარიშო წლის განმავლობაში, პროექტებში ნაცვლად დაეგმილი 7500 კაცისა, ჩართული იყო 9500-დე კაცი.</p>				
პროგრამით გათვალისწინებული ქვეპროგრამების შუალედური შედეგები	მიღწეულია	არსებითად მიღწეულია	ნაწილობრივ მიღწეულია	მიუღწეველია
კულტურული ღონისძიებების მართვა	X			
ღირსშესანიშნავ დღეებთან დაკავშირებული კულტურული ღონისძიებები	X			
კულტურული მრავალფეროვნების ხელშეწყობა	X			
საერთაშორისო ფესტივალების მხარდაჭერა	X			
კულტურის სფეროში თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა	X			
პროგრამის საბოლოო შედეგი	დაგეგმილი მდგომარეობა		ფაქტობრივი მდგომარეობა	
	ხელშეწყობილია ქალაქში კულტურული ცხოვრების მრავალფეროვნება		პროგრამის განხორციელების შედეგად გამრავალფეროვნებულია ქალაქში კულტურული ცხოვრება	
	დაგეგმილი		ფაქტობრივი	
პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები	ჩატარებული საერთაშორისო ფესტივალების და კულტურული ღონისძიებების რაოდენობა - 13 ღონისძიება		14	
	კულტურის სფეროში დაფინანსებული თავისუფალი ინიციატივების რაოდენობა - 15 ინიციატივა		23	
	ეთნიკური უმცირესობების ჯგუფების რაოდენობა, რომელთა მიერ ინიცირებულია კულტურული პროექტები - 9		9	

ქვეპროგრამის შედეგების შეფასების ფორმა

პროგრამის დასახელება	კულტურული ღონისძიებები და ფესტივალები		
ქვეპროგრამის დასახელება	კულტურული ღონისძიებების მართვა		
ქვეპროგრამის კოდი	05 03 01		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ბათუმის კულტურის ცენტრი		
პროგრამით და ქვეპროგრამებით გათვალისწინებული ღონისძიებები, მათი აღწერა, წარმატებები და წარმოქმნილი დაბრკოლებები	<p>უზრუნველყოფილი იქნა კულტურის ცენტრის გამართულად მუშაობასთან დაკავშირებული შესყიდვების განხორციელება, როგორცაა ოფისის ხარჯები, ტრანსპორტის მოვლა-შენახვის ხარჯები, კომუნალური გადასახადები, ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურება და სხვა, ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელების ხელშეწყობა, მისი კონტროლი.</p> <p>კულტურის ცენტრის ადმინისტრაციული ცენტრის შენობაში „საზაფხულო თეატრში“ სახანძრო უსაფრთხოების მიზნით გატარდა რიგი ღონისძიებები, კერძოდ: შესყიდული იქნა ფოსფორის მარცვნილები, ოფისისთვის შეძენილი იქნა ასევე კომპიუტერული ტექნიკა და მრავალფუნქციური პრინტერი, სხვადასხვა მუსიკალური ინსტრუმენტი და აქსესუარები.</p> <p>მომზადდა საზაფხულო თეატრის რეკონსტრუქციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.</p> <p>კახაბრის კლუბში სამუშაო ოთახში მეტალოპლასტმასის კარფანჯარა გამოიცვალა.</p>		
ქვეპროგრამის შუალედური შედეგები	დაგეგმილი მდგომარეობა		ფაქტობრივი მდგომარეობა
	ჩატარებულია ბათუმის კულტურის ცენტრის მიერ წლის განმავლობაში დაგეგმილი კულტურული ღონისძიებები		ჩატარებულია ბათუმის კულტურის ცენტრის მიერ წლის განმავლობაში დაგეგმილი კულტურული ღონისძიებები
ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები	დაგეგმილი		ფაქტობრივი
	ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა - 8		8
ქვეპროგრამის შუალედური შედეგი	მიღწეულია	არსებითად მიღწეულია	ნაწილობრივ მიღწეულია
საბიუჯეტო ორგანიზაციის არგუმენტაცია:			

ქვეპროგრამის შედეგების შეფასების ფორმა

პროგრამის დასახელება	კულტურული ღონისძიებები და ფესტივალები	
ქვეპროგრამის დასახელება	ღირსშესანიშნავ დღეებთან დაკავშირებული კულტურული ღონისძიებები	
ქვეპროგრამის კოდი	05 03 02	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ბათუმის კულტურის ცენტრი	
<p align="center">პროგრამით და ქვეპროგრამებით გათვალისწინებული ღონისძიებები, მათი აღწერა, წარმატებები და წარმოქმნილი დაბრკოლებები</p>	<p>3 მარტი – დედის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება.</p> <p>23 მარტი – 1921 წელს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ გმირთა ხსოვნის დღის აღნიშვნა ბათუმის განთავისუფლებისათვის დაღუპულ გმირთა ხსოვნის აღსანიშნავად ბათუმის დრამატული თეატრის მიმდებარე მოედანზე ტრადიციულად შეიკრიბნენ ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. "კულტურის ცენტრის" შემოქმედებითმა კოლექტივმა - სასულე ორკესტრმა შეასრულა მარშები. მემორიალი შემკობილი იქნა გვირგვინითა და ყვავილებით.</p> <p>9 აპრილი - საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღების დღის, საქართველოს ეროვნული ერთიანობის, საქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოვონების დღის აღნიშვნის მიზნით, მოხდა მემორიალის შემკობა ყვავილებით. ცერემონიაში მონაწილეობა მიიღო ცენტრის ვაჟთა ხალხური სიმღერის ვოკალური ანსამბლმა.</p> <p>9 მაისი - ფაშიზმზე გამარჯვების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება – ორგანიზებული იქნა ვეტერანების და სტუმრების შეკრება გმირთა ხეივანში, მოხდა მემორიალის შემკობა ყვავილებით სასულე ორკესტრის მუსიკის თანხლებით, ღონისძიება სადღესასწაულო ბანკეტით დასრულდა.</p> <p>26 მაისი – საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ორგანიზების მიზნით ქალაქი მორთული იყო საქართველოს დროშებით, ანბანის კოშკთან გაიმართა კონცერტი ბათუმელი მომღერლების შესრულებით.</p> <p>1 ივნისი - ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით საზეიმოდ მოირთო 6 მაისის პარკი ფერადი ლენტებით, ბურთებით, სხვადასხვა დეკორაციებით. პარკში დამონტაჟდა სცენა, თუმცა უამინდობის გამო დაგეგმილი ღონისძიებები საზაფხულო თეატრში გადმოვიდა. ჩატარდა საბავშვო კონცერტები ქალაქში მოქმედი სხვადასხვა ანსამბლის მონაწილეობით, ბავშვებს განწყობას უქმნიდა სხვადასხვა ზღაპრის გმირები, გაშვებული იქნა ჰელიუმის ბუშტები და მოეწყო უფასო ნაყინის, პოპკორნის და ბაბბის ნაყინის გაყიდვა.</p> <p>ბათუმობა 2018 - 1 სექტემბერს, ძველ ბათუმში გაცოცხლდა მე-19 საუკუნის ქალაქი. ბათუმობისთვის ქუჩები სპეციალურად მოირთო 1900 იანი წლების ეპოქის სტილისტიკით – აბრები, აფიშები, ბილბორდები. 14:00-დან 19:00 საათამდე ზვიად გამსახურდიას, ფარნავაზ მეფის, ვახტანგ გორგასლის, ხულოსა და მაზნიაშვილის ქუჩებზე გაიმართა გრანდიოზული სპექტაკლები. მოეწყო პერმანენტული და მინი სცენები, სადაც გაცოცხლდა ბუკინისტური მაღაზია, თევზის ბაზარი, ყავის წერტილები, თეატრალური წარმოდგენები, კოსტიუმირებული მსვლელობები, კონცერტები, ასევე გამოფენები, ბაზრობები და ა.შ. პიაცაზე ჩატარდა დასკვნითი გალაკონცერტი, რომელიც გრანდიოზული ფიერვერკით დაგვირგვინდა. ბათუმობის ფარგლებში ბათუმის საზაფხულო თეატრში ანსამბლ „ალილოს“ და „შვიდკაცას“ კონცერტი გაიმართა.</p> <p>საახალწლო ღონისძიებები დაიწყო 2018 წლის 25 დეკემბერს და 2019 წლის 2 იანვრის ჩათვლით გაგრძელდა. ყოველდღიურად ევროპის მოედანზე სპეციალურად მორთულ სცენაზე ტარდებოდა საბავშვო კონცერტები, ბათუმელი ბენდების მიერ შესრულებული კონცერტები, სხვადასხვა გასართობი შოუ პროგრამები. 2 იანვარს კი ნინო ქათამაძის კონცერტით დასრულდა. საახალწლო ღონისძიებების ფარგლებში, ბათუმის 21 უბანში (ახალი წელი შენს ეზოში) საახალწლოდ მორთულ დიდ სატვირთო მანქანაზე ბავშვებისათვის გასართობი პროგრამა ჩატარდა ანიმატორების მიერ. ბავშვებს დაურიგდებოდა ბუშტები და ტკბილეული.</p>	
	დაგეგმილი მდგომარეობა	ფაქტობრივი მდგომარეობა

ქვეპროგრამის შუალედური შედეგები	ჩატარებულია ქალაქისა და ქვეყნის ღირსშესანიშნავი დღეებისადმი მიძღვნილი ღონისძიებები		ჩატარებულია ქალაქისა და ქვეყნის ღირსშესანიშნავი დღეებისადმი მიძღვნილი ღონისძიებები	
ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები	დაგეგმილი		ფაქტობრივი	
	ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა - 8		8	
ქვეპროგრამის შუალედური შედეგი	მიღწეულია	არსებითად მიღწეულია	ნაწილობრივ მიღწეულია	მიუღწეველია
საბიუჯეტო ორგანიზაციის არგუმენტაცია:				

ქვეპროგრამის შედეგების შეფასების ფორმა

პროგრამის დასახელება	კულტურული ღონისძიებები და ფესტივალები
ქვეპროგრამის დასახელება	კულტურული მრავალფეროვნების ხელშეწყობა
ქვეპროგრამის კოდი	05 03 03
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ბათუმის კულტურის ცენტრი
	<p>ებრაული დიასპორა - ებრაული დიასპორისთვის გამოყოფილი თანხიდან აღინიშნა საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან და ახალ წელთან დაკავშირებით გამართული შეხვედრები, აღინიშნული ღონისძიებები საზეიმო ვითარებაში ჩატარდა, რომელსაც ესწრებოდნენ მთავრობის წარმომადგენლები და სტუმრები სხვადასხვა საკონსულოებიდან.</p> <p>აზერბაიჯანული დიასპორა:</p> <ul style="list-style-type: none"> - 8 მარტი - ქართველთა და აზერბაიჯანელთა აჭარის საქველმოქმედო საზოგადოების მიერ ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გაიმართა საზეიმო ვახშამი; - 27 დეკემბერს საზეიმოდ აღინიშნა მსოფლიოს აზერბაიჯანელთა სოლიდარობის დღე. - 9 მაისი - ქართველთა და აზერბაიჯანელთა აჭარის საქველმოქმედო საზოგადოების მიერ აღინიშნა ფაშიზმზე გამარჯვების დღე. მოეწყო საზეიმო სუფრა. - 28 დეკემბერს აღინიშნა მსოფლიოს აზერბაიჯანელთა სოლიდარობის დღე. - დაფინანსდა საახალწლო ღონისძიებები საბავშვო გასართობი ღონისძიებების ორგანიზების კუთხით, რომლის ფარგლებშიც გაიმართა საახალწლო გასართობი შოუ პროგრამა პატარებისათვის გასართობ ცენტრ ბერიკებში. ბავშვებს გადაეცათა საახალწლო ტკბილეულის ნაკრები (საჩუქარი). <p>უკრაინული დიასპორა:</p> <ul style="list-style-type: none"> - 3-9 მარტი - უკრაინული დიასპორის მიერ მოეწყო დედისა და ქალთა დღისადმი მიძღვნილი საღამო, რომელიც მეგობრობის სახლში ჩატარდა. ქალთა დღესთან დაკავშირებით დიასპორაში მოღვაწე ქალბატონებს გადაეცათ ფასიანი საჩუქრები. 9 მარტს კი ზღვისპირა პარკის ტერიტორიაზე ტარას შევჩენკოს ძეგლთან მოეწყო ტარას შევჩენკოს დაბადების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება. - უკრაინული დიასპორის მიერ აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით დიასპორის ხელმოკლე და მრავალშვილიანი ოჯახებისათვის შესყიდული იქნა სასურსათე პროდუქტების ნობათი. - 15 ივლისი- უკრაინული დიასპორის მიერ მოეწყო უკრაინელი ობოლი ბავშვების სტუმრებასთან დაკავშირებული ღონისძიებები, შეხვედრა გაიმართა მეგობრობის სახლში, მოეწყო ნახატების გამოფენა, კონკურსები, ვიქტორინები. გამარჯვებულები ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ. - 17-20 ივლისი - უკრაინული დიასპორის აქტიური ბავშვებისათვის მოეწყო საექსკურსიო ტური, კერძოდ მონინახულეს მცხეთა, თბილისი, თელავი, სიღნაღი და საგარეჯოში არსებული კულტურულ ისტორიული ძეგლები. - 24 აგვისტო - აღინიშნა უკრაინის დამოუკიდებლობის დღე. ღონისძიების ფარგლებში მოხდა ზღვისპირა პარკის ტერიტორიაზე ტ. შევჩენკოს და ლ. უკრაინკას ძეგლის ყვავილებით შემკობა, ბავშვთა ხატვის კონკურსი ასფალტზე და სხვ. ღონისძიების დასკვნითი ნაწილი საზეიმო ბანკეტით დასრულდა. - დაფინანსდა საახალწლო ღონისძიებები - საბავშვო გასართობი ღონისძიებების ორგანიზების კუთხით, რომლის ფარგლებშიც გაიმართა საახალწლო გასართობი შოუ პროგრამა პატარებისათვის გასართობ ცენტრ ბერიკებში. ბავშვებს გადაეცათა საახალწლო ტკბილეულის ნაკრები (საჩუქარი).

პროგრამით და ქვეპროგრამებით გათვალისწინებული ღონისძიებები, მათი აღწერა, წარმატებები და წარმოქმნილი დაბრკოლებები

რუსული დიასპორა:

– აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით რუსული დიასპორის მიერ დიასპორის ხელმოკლე და მრავალშვილიანი ოჯახებისათვის შესყიდული იქნა სასურსათე პროდუქტების ნობათი.

– 23 ივლისი- აჭარაში რუსულენოვანი ინტელიგენციის ასოციაცია „რასვეტი“-ს მიერ მოეწყო საერთაშორისო „მრგვალი მაგიდის“ მოწვევა, მოწვეული იყვნენ სტუმრები ეკატერინბურგიდან და მოსკოვიდან. განხილული იქნა საქართველო-რუსეთის თანამშრომლობა ახალგაზრდული განზომილებით“, გაცვლითი პროგრამები, კულტურული კავშირები.

– დაფინანსდა საახალწლო ღონისძიებები – საბავშვო გასართობი ღონისძიებების ორგანიზების კუთხით, რომლის ფარგლებშიც გაიმართა საახალწლო გასართობი შოუ პროგრამა პატარებისათვის გასართობ ცენტრ ბერიკებში. ბავშვებს გადაეცათა საახალწლო ტკბილეულის ნაკრები (საჩუქარი).

სომხური დიასპორა:

– 14 თებერვალს სომხურმა დიასპორამ აღნიშნა „სურბ სარქისის“ დღესასწაული. ღონისძიებისთვის სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებულზე შესყიდული იქნა სუვენირები და საჩუქრები. აღნიშნული ღონისძიება რესტორან პორტო ფრანკოში ჩატარდა, რომელიც საზეიმო ვახშმით დასრულდა.

– 4 მარტს სომხურმა დიასპორამ აღნიშნა დედის დღე და აღნიშნულთან დაკავშირებით ქალბატონებს გადაეცათ ფასიანი საჩუქრები, მოეწყო საზეიმო სუფრა.

– 28 მაისი - აღნიშნა სომხეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის 100 წლისთავი. ღონისძიება საზეიმო ვითარებაში მიმდინარეობდა და ბანკეტით დასრულდა რესტორან „ბელლა კოსტაში“.

– 2 ივნისი- აჭარის რუსულენოვანი ინტელიგენციის ასოციაცია „რასვეტის“ მიერ მეგობრობის სახლში მოეწყო ასოციაციის 15 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საღამო. მოწვეულმა სტუმრებმა წაიკითხა ლექსები, ღონისძიება საზეიმო სუფრით დასრულდა.

– 25 დეკემბერს სომხურმა დიასპორამ აღნიშნა დიასპორის 25 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო. აღნიშნულზე მომზადებული იქნა მოკლე დოკუმენტტური ფილმი, რომელშიც ასახული იყო დიასპორის მოღვაწეობა ქრონოლოგიის მიხედვით. მოწვეული იყო სომხეთის რესპუბლიკის კონსული და ასევე ქალაქის ინტელიგენცია. დიასპორის აქტივისტები დაჯილდოვდნენ სიგელებით, ღონისძიება საზეიმო ვახშამით დასრულდა.

იეზიტური დიასპორა:

– დეკემბერი – აჭარის იეზიტთა კავშირის მიერ რელიგიური დღესასწაულის „აიღია იეზიდი როჟი“ ჩატარების მიზნით, იეზიდური დიასპორის ოჯახებისათვის შესყიდული იქნა სურსათის პროდუქტები, რომლითაც ამზადებენ სპეციალურ სადღესასწაულო კერძებს და ურიგდებათ ხელმოკლე ოჯახებს.

– დაფინანსდა საახალწლო ღონისძიებები საბავშვო გასართობი ღონისძიებების ორგანიზების კუთხით, რომლის ფარგლებშიც გაიმართა საახალწლო გასართობი შოუ პროგრამა პატარებისათვის გასართობ ცენტრ ბერიკებში. ბავშვებს გადაეცათა საახალწლო ტკბილეულის ნაკრები (საჩუქარი).

თურქული დიასპორა:

– 21 აგვისტო – თურქული დიასპორის მორწმუნეებისათვის 70 ოჯახზე ყურბან ბაირამის დღესასწაულთან დაკავშირებით შეძენილი იქნა სასურსათე ნობათი.

– დაფინანსდა საახალწლო ღონისძიებები საბავშვო გასართობი ღონისძიებების ორგანიზების კუთხით, რომლის ფარგლებშიც გაიმართა საახალწლო გასართობი შოუ პროგრამა პატარებისათვის გასართობ ცენტრ ბერიკებში. ბავშვებს გადაეცათა საახალწლო ტკბილეულის ნაკრები (საჩუქარი).

<p>ბერძნული დიასპორა:</p> <p>– 24 მარტს ბათუმის ბერძენთა საქველმოქმედო ასოციაციის მიერ აღინიშნა საბერძნეთის დამოუკიდებლობის დღე. მოეწყო შესაბამისი თემატიკის კულტურული ღონისძიება, ღონისძიებასთან ერთად გაიმართა საზეიმო ვახშამი.</p> <p>– 20 ოქტომბერი - ბათუმის ბერძენთა საქველმოქმედო ასოციაციის მიერ 30 კაციანი ჯგუფის შემადგენლობით მოეწყო და დაფინანსდა საექსკურსო ტური (ვარძია, ხერთვისის ციხე, რაბათის ციხე, ბორჯომი);</p> <p>28 ოქტომბერი - ბათუმის ბერძენთა საქველმოქმედო ასოციაციის მიერ აღინიშნა საბერძნეთის ეროვნული დღესასწაული „ოხი“.</p> <p>– დაფინანსდა საახალწლო ღონისძიებები – საბავშვო გასართობი ღონისძიებების ორგანიზების კუთხით, რომლის ფარგლებშიც გაიმართა საახალწლო გასართობი შოუ პროგრამა პატარებისათვის გასართობ ცენტრ ბერიკებში. ბავშვებს გადაეცათა</p>				
<p>გერმანული დიასპორა:</p> <p>– თებერვლის თვეში დაიწყო გერმანული ენის შემსწავლელი კურსების ჩატარების გერმანელთა ასოციაციის წევრების მოთხოვნის საფუძველზე. აღნიშნულზე გაფორმებულია ხელშეკრულება პედაგოგთან და 15 თებერვლიდან 15 ივნისის ჩათვლით ტარდებოდა მეცადინეობები მეგობრობის სახლში.</p> <p>– გერმანული დიასპორების მიერ მოხდა ასევე 8 მარტის დღესთან დაკავშირებით შეხვედრა ქალბატონებთან, ღონისძიებისათვის შექმნილი იქნა ფასიან საჩუქრები;</p> <p>– აჭარის გერმანელთა ასოციაცია „აინუნგი“-ს მიერ დამზადდა თემატური სარეკლამო მასალა (ბლოკნოტები და საწერკალმები);</p> <p>– დეკემბერი – აჭარის გერმანელთა ასოციაცია „აინუნგმა“ მოინახულა ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრი „ნემო“-ს აღსაზრდელები, რომელთაც გადაეცათ სხვადასხვა საჩუქრები და ტკბილეული;</p> <p>– დაფინანსდა საახალწლო ღონისძიებები – საბავშვო გასართობი ღონისძიებების ორგანიზების კუთხით, რომლის ფარგლებშიც გაიმართა საახალწლო გასართობი შოუ პროგრამა პატარებისათვის გასართობ ცენტრ ბერიკებში. ბავშვებს გადაეცათა საახალწლო ტკბილეულის ნაკრები.</p>				
<p>საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით მეგობრობის სახლში გაწევრიანებული 9 დიასპორის მიერ, ერთობლივად მოხდა საზეიმო შერევა და დიასპორის აქტივისტების მიერ მოეწყო ამ დღესთან დაკავშირებული საღამო, ღონისძიებას ესწრებოდნენ აჭარის მთავრობის წარმომადგენლები.</p> <p>– 28 დეკემბერი – აჭარაში მოქმედი 9 დიასპორის მიერ მოეწყო საახალწლო შეხვედრა, სადაც მოწვეული იქნა მთავრობის წარმომადგენლები და საპატიო სტუმრები. თითოეული დიასპორის მიერ წარმოდგენილი იქნა სპეციალური საკონცერტო ნომრები</p>				
ქვეპროგრამის შუალედური შედეგები	დაგეგმილი მდგომარეობა		ფაქტობრივი მდგომარეობა	
	წახალისებულია კულტურული მრავალფეროვნება და ხელშეწყობილია ეთნიკურ უმცირესობათა კულტურული აქტივობები		წახალისებულია კულტურული მრავალფეროვნება და ხელშეწყობილია ეთნიკურ უმცირესობათა კულტურული აქტივობები	
ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები	დაგეგმილი		ფაქტობრივი	
	ეთნიკური უმცირესობის ჯგუფების, რაოდენობა რომელთა პროექტები დაფინანსდა - 9		9	
ქვეპროგრამის შუალედური შედეგი	მიღწეულია	არსებითად მიღწეულია	ნაწილობრივ მიღწეულია	მიუღწეველია
საბიუჯეტო ორგანიზაციის არგუმენტაცია:				

ქვეპროგრამის შედეგების შეფასების ფორმა

პროგრამის დასახელება	კულტურული ღონისძიებები და ფესტივალები	
ქვეპროგრამის დასახელება	საერთაშორისო ფესტივალების მხარდაჭერა	
ქვეპროგრამის კოდი	05 03 04	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური	
ქვეპროგრამებით გათვალისწინებული ღონისძიებები და აქტივობები, მათი აღწერა, წარმატებები და წარმოქმნილი დაზრკოლებები	<p>საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში ჩატარდა შემდეგი ფესტივალები:</p> <p>კლასიკური მუსიკის ბათუმის საერთაშორისო ფესტივალი - ფესტივალის ფარგლებში მოწვეული იყო 50-მდე ქართველი და უცხოელი კლასიკური მუსიკის შემსრულებელი, რომელთა მიერ შესრულდა ცნობილი და პოპულარული ნაწარმოებები.</p> <p>მონოპიესების საერთაშორისო ფესტივალი - ფესტივალის ფარგლებში, საწყის ეტაპზე, შეირჩა დრამატურგები, რომლებმაც დაწერენ მონო-პიესები სპეციალურად მონო-ფესტივალისთვის. დრამატურგების მიერ დასახელდა რეჟისორები, რომლებმაც თავის მხრივ შეარჩიეს მსახიობები. ბათუმის სხვადასხვა ალტერნატიულ სივრცეში, თანმიმდევრულად ერთი კვირის განმავლობაში, გაიმართა სპექტაკლების ჩვენება.</p> <p>ბათუმის კლასიკური მუსიკის ფესტივალი - Batumi MusicFest - ფესტივალის ფარგლებში, ბათუმს ესტუმრნენ მსოფლიოში ცნობილი ვარკველავები. კლასიკური მუსიკის ფესტივალის მთავარი აქცენტი იყო ნიჭიერი ქართველი პიანისტების აღმოჩენა და მათი ხელშეწყობა, რაც მას განსაკუთრებულ იდენტურობასა და მნიშვნელობას სძენს.</p> <p>საავტორო კინოს ბათუმის XIII საერთაშორისო ფესტივალი - ჩატარდა მხატვრული, დოკუმენტური და მოკლემეტრაჟიანი ფილმების საერთაშორისო კონკურსები; გაიმართა მასტერკლასები, ვორკშოპები და ფოტოგამოფენები.</p> <p>2018 წელს მე-13 კინოფესტივალზე სხვადასხვა სექციებში წარმოდგენილი იქნა დაახლოებით 50 სრულმეტრაჟიანი და 80 მოკლემეტრაჟიანი ფილმი, მსოფლიოს 50 ქვეყნიდან.</p> <p>ბათუმის ანიმაციური ფილმების X საერთაშორისო ფესტივალის არასაკონკურსო პროგრამის ორგანიზება.</p> <p>ჩატარდა ახალგაზრდა ანიმატორების პროექტების პრეზენტაციები, მასტერკლასები - რომლებსაც ფესტივალზე სპეციალურად სხვადასხვა ქვეყნიდან მოწვეული პროფესიონალები მართავენ, თოქ-შოუ - რომლის ფარგლებშიც მონაწილეებს საშუალება ჰქონდათ კითხვა-პასუხის რეჟიმში მიეღოთ სხვადასხვა ინფორმაცია წარმატებული კინოხელოვნებისგან და ა.შ., გაიმართა საქმიანი შეხვედრები - რომლის დროსაც ქართველი ანიმატორები, რეჟისორები და სცენარისტები ხვდებოდნენ ქართველ/უცხოელ პროდუსერებს და ანიმაციური სტუდიების წარმომადგენლებს.</p> <p>ქ. ბათუმში გიორგი გარაყანიძის სახელობის ფოლკლორული და სასულიერო მუსიკის ბათუმის საერთაშორისო ფესტივალი.</p> <p>ფესტივალი 2018 წელს მესამეტედ ჩატარდა ჩვენს ქალაქში. ფესტივალის ფარგლებში ჩატარდა ასევე სამეცნიერო კონფერენცია. ფესტივალის მიზანია იყო ქართული ხალხურის სიმღერის და სასულიერო მუსიკის ტრადიციების შენარჩუნება, მასტერ-კლასების მეშვეობით რეპერტუარის გამდიდრება, უახლესი სამეცნიერო კვლევების გაგნობა, ქართველი მეცნიერების ინტეგრირება ფოლკლორის კვლევის საერთაშორისო პროგრამებში. ფესტივალის ფარგლებში გაიმართა კონცერტები, გამოიცა სამეცნიერო სტატიებისაგან შემდგარი კრებული. ფესტივალში მონაწილეობა მიიღო ფოლკლორულმა (ავთენტური) ანსამბლებმა და საეკლესიო გუნდებმა. ფოლკლორული და საეკლესიო მუსიკის სამემსრულებლო პრობლემებისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა მიიღ ქართველმა და უცხოელმა მეცნიერებმა.</p>	
ქვეპროგრამის შუალედური შედეგები	დაგეგმილი მდგომარეობა	ფაქტობრივი მდგომარეობა
	ჩატარებულია საერთაშორისო ფესტივალები	ჩატარებულია საერთაშორისო ფესტივალები
ქვეპროგრამის შუალედური შედეგის	დაგეგმილი	ფაქტობრივი
	ჩატარებული ფესტივალების რაოდენობა - 6	6

ინდიკატორები	ფესტივალების ფარგლებში გამართული ვორკშოპების/მასტერკლასების რაოდენობა (არანაკლებ 10 ვორკშოპი/მასტერკლასი)		10	
ქვეპროგრამის შუალედური შედეგი	მიღწეულია	არსებითად მიღწეულია	ნაწილობრივ მიღწეულია	მიუღწეველია
საბიუჯეტო ორგანიზაციის არგუმენტაცია:				

ქვეპროგრამის შედეგების შეფასების ფორმა

პროგრამის დასახელება	კულტურული ღონისძიებები და ფესტივალები
ქვეპროგრამის დასახელება	კულტურის სფეროში თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა
ქვეპროგრამის კოდი	05 03 05
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური
	<p>საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში შეირჩა - 24 პროექტი, კერძოდ:</p> <p>1. პროექტი „საქართველო შენ ვინ მოგცა შვილი დასაკარგავი“. პროექტის ფარგლებში 14 ივნისს, საქართველოში შშმ პირთა უფლებების დაცვის დღის აღსანიშნავად, ბათუმის კულტურის ცენტრში, შშმ პირთა და თავშესაფრის ბენეფიციართა მიერ ჩატარდა ინტეგრირებული კონცერტი. გაიმართა გამოფენა. ბიუჯეტი - 4992 ლარი. ავტორი - ა(ა)იპ „სამედიცინო ასოციაცია თანა“. ვადები: 30 მარტი - 30 ივნისი.</p> <p>2. პროექტი „ბათუმო 2018-ისადმი მიძღვნილი ვიდეო კლიპის გადაღება სიმღერაზე „ბათუმო ჩემო“. დავით არჩვაძის სიმღერაზე „ბათუმო ჩემო“ განხორციელდა ვიდეო-კლიპის გადაღება, რომელიც მონაწილეობას მიიღო მუსიკალური სტუდია „ლალეს“ 60 ალსაზრდელმა და ყველა თაობის ბათუმელმა. ბიუჯეტი - 9975 ლარი. ავტორი ა(ა)იპ საზოგადოება ბათუმელი და შპს „ART WAVE“. განხორციელების ვადები: 30 მარტი-26 აპრილი</p> <p>3. პროექტი „უსინათლო და მცირემხედველ, მრავლობითი დარღვევის მქონე ბავშვებში შემოქმედებითი უნარების განვითარება“. გაუქმებულია პროექტის ფარგლებში დაგეგმილი იყო ორ ეტაპად ტრენინგის ჩატარება. სტამბულიდან მოწვეული 4 სპეციალისტი ქართველ სპეციალისტებს ჩაუტარებდნენ მასტერკლასებს. უსინათლო და მცირემხედველ მრავლობითი დარღვევის მქონე ბენეფიციართან შემოქმედებითი უნარების გასაღვივებლად. ბიუჯეტი - 6000 ლარი. ავტორი - ა(ა)იპ „ინკლუზიური და ინტეგრირებული განათლება-თანადგომა“. ვადები: 01 მაისი -15 ივლისი.</p> <p>4. პროექტი „ქართული კინოს მუსიკალურ თეატრალური ინტერპრეტაცია“. პროექტის ფარგლებში ახალგაზრდული საორკესტრო ჯგუფისთვის შეირჩა მუსიკალური ნომრები ძველი და ახალი ქართული ფილმებიდან, განხორციელდა არანჟირება და შეიქმნა ქართული კინო-მუსიკის ვერსიები. მუსიკასთან ერთად სცენაზე გათამაშდა სხვადასხვა მინიატურები. ბიუჯეტი - 7800 ლარი. ავტორი - ა(ა)იპ „არტ-ალტერნატივა“. განხორციელების ვადები: 30 მარტი - 30 მაისი;</p> <p>5. პროექტი „ფრიდონ ხალვაშისა და ზურაბ გორგილაძის სახელობის პოეზიის კონკურსი „ზღვარი“. პროექტის ფარგლებში ჩატარდა ლიტერატურული კონკურსი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან 100 დან 150-მდე ბავშვმა. ბიუჯეტი - 7860 ლარი. პროექტის ავტორი - ა(ა)იპ „ზღვარი“. ვადები: 30 მარტი- 28 ივნისი;</p>

ქვეპროგრამებით
გათვალისწინებული
ღონისძიებები, მათი
აღწერა, წარმატებები და
წარმოქმნილი
დაბრკოლებები

<p>6. პროექტი „საერთაშორისო ფესტივალ-კონკურსი „ოქროს დელფინი-ხელოვნება მსოფლიოს ირგვლივ-2018“. წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებდა საერთაშორისო ფესტივალ-კონკურსი „ოქროს დელფინი-ხელოვნება მსოფლიოს ირგვლივ 2018" - მონაწილეთა (250 კაცი) ტრანსპორტირების და მასტერკლასების დაფინანსებას. ბიუჯეტი -10000 ლარი. ავტორი - ა(ა)იპ „კულტურისა და ტურიზმის განვითარებისა და ხელშეწყობის საზოგადოება“. ვადები: 23 მაისიდან -28 მაისი.</p>
<p>7. პროექტი „ფოტოკონკურსი, ფოტო-გამოფენა სახელწოდებით: „ქალის თვალით დანახული ჩვენ“ მესამე ეტაპი. პროექტის ფარგლებში შეიქმნა 25 ფოტო, 5 ფოტოხელოვანმა ქალმა შექმნა ცნობილი, წარმატებული ბათუმელის, ბათუმისთვის მოღვაწე ადამიანების განსხვავებულ ამპლუაში გადაღებულ 25 ფოტოპორტრეტი. ბიუჯეტი - 5225 ლარი. ავტორი - ა(ა)იპ „აჭარის კულტურის სააგენტო“. განხორციელების ვადები: 30 მარტი - 28 აპრილი.</p>
<p>8. პროექტი „ბათუმი აპოლო“. პროექტის ფარგლებში კინოთეატრ აპოლოს ფოიეში მოეწყო საქესპოზიციო, საარქივო და საგანმანათლებლო სივრცე, ბათუმში გადაღებული ფილმების თემატიკით. ბიუჯეტი - 9790 ლარი. ავტორი ა(ა)იპ „კულტურის და ხელოვნების გლობალური კოორდინირების ცენტრი“. ვადები: 30 მარტი - 20 ივნისი.</p>
<p>9. პროექტი „უსინათლო და მცირემხედველი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების თანაბარი ხელმისაწვდომობა მხატვრულ ლიტერატურაზე“. პროექტის ფარგლებში განხორციელდა ფრიდონ ხალვაშის მხატვრული ნაწარმოებების აუდიო წიგნების გამოშვება უსინათლო და მცირემხედველი ბენეფიციართათვის ლაზერულ დისკზე. აუდიო ფაილები განთავსდა სხვადასხვა საიტებზე, ასევე ის გაეგზავნა სასწავლო დაწესებულებებს და ორგანიზაციებს. ბიუჯეტი - 5700 ლარი. ავტორი- ა(ა)იპ „აფხაზეთის უსინათლოთა და ყრუ - მუნჯთა კავშირი „ჰერა“; ვადები: 01 აპრილი - 10 ივნისი.</p>
<p>10. პროექტი „ზაფხული მოდის“. პროექტის ფარგლებში ჩატარდა ჯგუფის „გამოუვალი მდგომარეობა“ კონცერტი. ავტორი - შპს „MARINA COLISEUM“. ბიუჯეტი - 6996 ლარი. განხორციელების ვადები: 19 აპრილი - 15 მაისი;</p>
<p>11. პროექტი „ქართული პოეზიის დღე“. პროექტის მიმდღენა ქართული პოეზიის დღეს. ჩატარდა ღონისძიება და მოეწყო გამოფენა. ბიუჯეტი - 6 500 ლარი. ავტორი - ა(ა)იპ „საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირი“ განხორციელების ვადები: ხელშეკრულების გაფორმებიდან - 07 მაისი</p>
<p>12. პროექტი „ბათუმი-კალიფორნია“. პროექტის ფარგლებში განხორციელდა ფილმის გადაღება, რომელშიც ასახული იქნა ამერიკელი მწერლის ჯონ სტაიბეკის ცხოვრება. ფილმში ასახა მწერლის მონათხრობი საქართველოს შესახებ. ბიუჯეტი - 10 000 ლარი. ავტორი - ა(ა)იპ „ასოციაცია პატრია“ განხორციელების ვადები: 01 მაისი -14 დეკემბერი;</p>
<p>13. პროექტი „საკელესიო (სახალხო) დღესასწაული თამარობა“. პროექტის ფარგლებში ჩატარდა ღონისძიება, რომელიც მიემდგენება „თამარობას“. ბიუჯეტი - 2979.5 ლარი. ავტორი - ა(ა)იპ „თამარელები“. განხორციელების ვადები: 01 მაისი - 15 მაისი;</p>

<p>14. პროექტი „ცნობილი მსახიობის ზურაბ ყიფშიძის შემოქმედებითი სადამო“. პროექტი მიზნად ისახავდა ზურაბ ყიფშიძის შემოქმედებითი სადამოს ჩატარებას ქ. ბათუმში. ბიუჯეტი - 5 000 ლარი. ავტორი - ფ/პ დალი ოქროპირიძე; განხორციელების ვადები: ხელშეკრულების გაფორმებიდან - 25 მაისი;</p>
<p>15. პროექტი - ხელოვნების სტუდია „ლიმპოპოს“ 25 წლისათვისადმი მიძღვნილი მუსიკალური სპექტაკლი „ფერადი ქალაქის მადიებლები“. პროექტი ითვალისწინებდა სპექტაკლის დადგმას, რომლის ჩვენებაც გაიმართა როგორც ბათუმში ასევე საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. ბიუჯეტი - 9975 ლარი. ავტორი - შპს „ლიმპოპო“; განხორციელების ვადები: 01 მაისი -30 ივლისი;</p>
<p>16. პროექტი „პოეზია და ჩვენ“. ჩატარდა პოეზიის სადამო რომელშიც მონაწილეობა მიიღო შშმ ბავშვებმა და ახალგაზრდა პოეტებმა. მოეწყო გამოფენა, შესრულდა მუსიკალური ნომრები. ბიუჯეტი - 3000 ლარი. ავტორი -ა(ა)იპ „ჩვენ ყველაფერი შეგვიძლია“; განხორციელების ვადები: 28 მაისი -1 ივნისი.</p>
<p>17. პროექტი - „ეროვნული უმცირესობების ფესტივალი“. პროექტის ფარგლებში 31 ივლისს ბულვარში კოლონადებთან ჩატარდა ფესტივალი, სადაც აჭარაში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა ჯგუფებს ჰქონდათ შესაძლებლობა წარმოედგინათ მათი ნაციონალური კერძები, სურათები, სამოსი და სხვადასხვა ნივთები. ბიუჯეტი - 3840 ლარი. ავტორი- ა(ა)იპ „თავისუფალ ჟურნალისტთა სახლი“. განხორციელების ვადები: 1 ივნისი -5 აგვისტო.</p>
<p>18. პროექტი - „ბათუმის კულტურა“. პროექტის მიზანი იყო შექმნილიყო საგანმანათლებლო-საინფორმაციო კომპიუტერული აპლიკაცია ბათუმის კულტურის მოღვაწეების და კულტურული ღირსეშანიშნაობების შესახებ. განხორციელდება ბათუმში არსებული ყველა მუზეუმის და კულტურული ღირსეშანიშნაობების აპლიკაციაზე აღნიშვნა და ნამუშევრების წარმოჩენა. ბიუჯეტი-9700 ლარი. ავტორი-ა(ა)იპ „კვლევების და განვითარების ასოციაცია“. განხორციელების ვადები: 20 აგვისტო -30 ოქტომბერი;</p>
<p>19. პროექტი - „ქ. ბათუმში, კომპოზიტორ ვაჟა აზარაშვილის დაბადებიდან 80 და შემოქმედებითი მოღვაწეობის 60 წლისთავთან დაკავშირებითი საიუბილეოს შეხვედრა-კონცერტი“. ბათუმის საზაფხულო თეატრში ჩატარდა ვაჟა აზარაშვილის კონცერტი. ბიუჯეტი-2750 ლარი. ავტორი -შპს „საქართველოს ეროვნული ფინანსონია“.</p>
<p>20. პროექტი - „დიადი ჰიმნი-სონატა ბათუმს“ (ინსცენირება ლ.სეიდიშვილის ლექსებისა და ნახატების მიხედვით). პროექტის ფარგლებში აჭარის მწერალთა სახლში ჩატარდება ღონისძიება, რომელიც ეძღვნება ლადო სეიდიშვილის შემოქმედებას, მოეწყობა გამოფენა; ბიუჯეტი - 5 000 ლარი; ავტორი - ფ/პ ცისანა ანთაძე; განხორციელების ვადები: 1 ივლისი 28 სექტემბერი.</p>
<p>21. პროექტი - საერთაშორისო ფესტივალი „კერამიკის ალქიმია“. ჩატარდა კერამიკის ფესტივალი ადგილობრივი და უცხოელი პროფესიონალი კერამიკოსების მონაწილეობით. ფესტივალის ფარგლებში ჩატარდა პრეზენტაციები, მასტერკლასები და სხვა.. ბიუჯეტი - 7000 ლარი. ავტორი -ა(ა)იპ „სოციალური საწარმო ანდამატი“. განხორციელების ვადები: აგვისტო სექტემბერი;</p>

	<p>22. პროექტი- ცეკვის საერთაშორისო ფესტივალი „ბათუმი 2018“ ფესტივალი მიმართული იყო საქართველოში მოქმედი სახვადასხვა ქორეოგრაფიული ჯგუფებისა და თვითმოქმედი კოლექტივების ჩართულობისაკენ. ასევე, პროექტში მონაწილეობას მიიღო უცხო ქვეყნის კოლექტივებმა. ბიუჯეტი- 5 000 ლარი. ვეტორი- ა(ა)იპ „აჭარის ავტონომრესპუბლიკის თანამედროვე სამეჯლისო და სპორტული ცეკვების კავშირი“ ვადები: 27 ივნისი 29 ივნისი;</p>			
	<p>23. პროექტი -„ბათუმის ქუჩები“. პროექტის ფარგლებში გადაღებული იქნა ტურისტულ ზონაში მყოფი 15 ქუჩა, დამზადდა კლიპები. ბიუჯეტი- 4590 ლარი. ავტორი - ა(ა)იპ „მაკრო“. განხორციელების ვადები: 1 აგვისტო - 28 აგვისტო.</p>			
	<p>24. პროექტი - ქართულ-აფხაზური საგას ფარგლებში - „ქართულ აფხაზური ოჯახების ზეიმი ბათუმში“. პროექტის ფარგლებში ჩატარდა ღონისძიება, რომელიც მიემდგვნა ქართულ აფხაზურ ოჯახებს ბათუმში. დამზადდა ვიდეო რგოლი. ბიუჯეტი - 3500 ლარი. ავტორი - ა(ა)იპ „ქალთა საერთაშორისო ორგანიზაცია სოროპტიმის ტ ინტერნაციონალის კლუბი ბათუმი“. განხორციელების ვადები: 27 სექტემბერი- 19 ოქტომბერი</p>			
<p>ქვეპროგრამის საბოლოო შედეგი</p>	<p>დაგეგმილი მდგომარეობა</p>		<p>ფაქტობრივი მდგომარეობა</p>	
	<p>მხარდაჭერილი და განხორციელებულია კულტურისა და ხელოვნების სფეროში ინიციატივები</p>		<p>უზრუნველყოფილია კულტურის და ხელოვნების სფეროში ინიციატივების მხარდაჭერა და განხორციელება</p>	
<p>ქვეპროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები</p>	<p>დაგეგმილი</p>		<p>ფაქტობრივი</p>	
	<p>პროექტებში ჩართულ პირთა რაოდენობა - 7500 დაფინანსებულ პირთა (პროექტების) რაოდენობა - 15</p>		<p>9500-მდე 23</p>	
<p>ქვეპროგრამის საბოლოო შედეგი</p>	<p>სრულად მიღწეულია</p>	<p>არსებითად მიღწეულია</p>	<p>ნაწილობრივ მიღწეულია</p>	<p>მიუღწეველია</p>
<p>საბიუჯეტო ორგანიზაციის არგუმენტაცია:</p>	<p>ქვეპროგრამა ითვალისწინებდა 15 პროექტის დაფინანსებას, თითოეულ პროექტზე არაუმეტეს 10 000 ლარის ოდენობით. იმის გათვალისწინებით, რომ პროექტების ავტორთა მიერ წარმოდგენილი ხარჯები სრულად არ შეადგენდა 10 000-10 000 ლარს, ქვეპროგრამის ფარგლებში შესაძლებელი გახდა სულ 24 პროექტი შერჩეულიყო, რამაც განაპირობა პროექტებში ჩართულ პირთა რაოდენობის ზრდა. თუმცა აღსანიშნავია ის გარემოება რომ ერთი პროექტი - „უსინათლო და მცირემხედველ, მრავლობითი დარღვევის მქონე ბავშვებში შემოქმედებითი უნარების განვითარება“ გაუქმდა. აღნიშნულიდან გამომდინარე სულ 2018 წელს დაფინანსდა 23 პროექტი.</p>			